III დანართი

მოხსენიებული მუხლში 2.10

ვაჭრობის ხელშეწყობა

<u>დანართი III</u>

<u>მოხსენიებული მუხლში 2.10</u>

<u>ვაჭრობის ხელშეწყობა</u>

<u>მუხლი 1</u>

ზოგადი პრინციპები

მხარეები, რომელთა მიზანია ემსახურონ თავიანთი ბიზნეს სექტორის ინტერესებს და შექმნან ისეთი სავაჭრო გარემო, რომელიც მათ საშუალებას მისცემს მიიღონ სარგებელი ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობებიდან, თანხმდებიან, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპები წარმოადგენს საფუძველს მათი კომპეტენტური ორგანოების მიერ ვაჭრობის ხელშეწყობის ღონისძიებების შემუშავებისა და გამოყენებისთვის:

(a) ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურების გამჭვირვალობა, ეფექტურობა, გამარტივება, ჰარმონიზაცია და თანმიმდევრულობა;

(b) საქონლის საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების თანმიმდევრული, მიუკერძოებელი, პროგნოზირებადი და გონივრული გამოყენება;

(c) საერთაშორისო სტანდარტების გავრცელების ხელშეწყობა;

(d) ოფიციალურ მრავალმხრივ იურიდიულ დოკუმენტებთან შესაბამისობა;

(e) საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლო საუკეთესო გზით გამოყენება;

(f) საჯარო მომსახურების მაღალი სტანდარტები;

(g) რისკების მართვაზე დაფუძნებული საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სახელმწიფო კონტროლი;

(h) თითოეული მხარის საბაჟოსა და სხვა სასაზღვრო ორგანოებს შორის თანამშრომლობა; და

(i) კონსულტაციები მხარეებსა და მათ შესაბამის ბიზნეს სექტორებს შორის.

<u>მუხლი 2</u>

გამჭვირვალობა

1. თითოეულმა მხარემ, პრაქტიკულობის გათვალისწინებით ინგლისურ ენაზე და შეძლებისდაგვარად სწრაფად ინტერნეტის მეშვეობით, ხელმისაწვდომი უნდა გახადოს და განაახლოს შემდეგი:

(a) ყველა კანონი, რეგულაცია, ზოგადი ადმინისტრაციული გადაწყვეტილება და საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი პროცედურული ნორმები;

(b) იმპორტთან, ექსპორტთან და ტრანზიტთან დაკავშირებული პროცედურული ნორმების და მათ შორის გასაჩივრების პროცედურების აღწერილობა, რომელთა მეშვეობითაც ხდება დაინტერესებული მხარეების ინფორმირება საქონლით ვაჭრობისა თუ ტრანზიტისთვის საჭირო პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ;

(c) ფორმები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე საქონლით ვაჭრობისა თუ ტრანზიტისთვის;

(d) საინფორმაციო ერთეულების საკონტაქტო ინფორმაცია;

(e) საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს გამოსაყენებელი შესაბამისი მეთოდი ან კრიტერიუმები და მათი გამოყენების წესები; და

(f) შესაბამისი საზღვრის კვეთის და შეშვების მოთხოვნები კონკრეტულ პროდუქტთან მიმართებაში.

2. თითოეული მხარე განსაზღვრავს საინფორმაციო ერთეულს საბაჟოსთან და საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებისთვის, რომელთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება ინტერნეტის მეშვეობით, ინგლისურ ენაზე. ინგლისურად დასმულ შეკითხვებს პასუხი ინგლისურად უნდა გაეცეს. შეკითხვებზე პასუხის გაცემისთვის მხარეებმა არ უნდა მოითხოვონ საფასურის გადახდა.

3. თითოეულმა მხარე მიმართავს კონსულტაციებს საკუთარ ბიზნეს სექტორთან ვაჭრობის ხელშემწყობი ღონისძიებების განვითარებისა და დანერგვის მიზნით ბიზნეს სექტორის საჭიროებების განსაზღვრისთვის, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მცირე და საშუალო საწარმოების ინტერესებს.

4. თითოეულმა მხარემ წინასწარ და ინტერნეტის მეშვეობით უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონები და რეგულაციები, ისე, რომ დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ მათზე კომენტარის გაკეთება.

5. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კანონებისა და რეგულაციების გამოქვეყნებასა და მათ ამოქმედებას შორის იყოს გონივრული ინტერვალი.

მუხლი 3

წინასწარი გადაწყვეტილებები

1. მხარემ, გონივრულად და დროში განსაზღვრულ პერიოდში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უნდა გასცეს წინასწარი წერილობითი გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას ამ მხარის[1] ტერიტორიაზე დაფუძნებული იმპორტიორის, მწარმოებლისა თუ ექსპორტიორის შესახებ, ან მეორე მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებული იმპორტიორის, მწარმოებლისა თუ ექსპორტიორის შესახებ შემდეგთან მიმართებაში:

(a) პროდუქტის სატარიფო კლასიფიკაცია და ამ პროდუქტისთვის გამოყენებული საბაჟო გადასახადის განაკვეთი, მათ შორის

[1] კერძოდ, იმპორტიორს, ექსპორტიორსა თუ მწარმოებელს უფლება აქვთ წარადგინოს წინასწარი გადაწყვეტილების შესახებ მოთხოვნა საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

გადასახადის განაკვეთის ოდენობის გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდი;

(b) დასაკისრებელი მოსაკრებლები და გადასახდელები ან, სადაც საჭიროა, ინფორმაცია ამ მოსაკრებლებისა და გადასახდელების გაანგარიშების მეთოდის შესახებ;

(c) წარმოშობის მინიჭების წესები, რომლებსაც ეს მხარე გამოიყენებს პროდუქტის მიმართ; და

(d) სხვა საკითხები, რომლებზეც მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ.

2. მხარემ, რომელიც უარს აცხადებს წინასწარი გადაწყვეტილების გაცემაზე, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მომთხოვნ იმპორტიორს, მწარმოებელსა თუ ექსპორტიორს წერილობითი ფორმით, სადაც ჩამოყალიბებულია საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველი.

3. წინასწარი გადაწყვეტილებები ძალაში შედის მათი გაცემის დღეს, ან გადაწყვეტილებაში მითითებულ სხვა დღეს იმ შემთხვევაში, თუ ფაქტები ან გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, დარჩება უცვლელი.

4. მხარეს უფლება აქვს წინასწარი გადაწყვეტილებების მოქმედების ვადა შეზღუდოს იმ პერიოდით, რომელიც განსაზღვრულია ადგილობრივი კანონმდებლობით.

5. თითოეული მხარე მიზნად ისახავს, წინასწარი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით.

<u>მუხლი 4</u>

საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების გამარტივება

1. მხარეებმა უნდა გამოიყენონ ისეთ სავაჭრო და სასაზღვრო პროცედურები, რომლებიც არის მარტივი, გონივრული და მიუკერძოებელი.

2. მხარეები ზღუდავენ მხარეთა შორის საქონლით ვაჭრობის კონტექსტში საჭირო კონტროლს, ფორმალობებს და დოკუმენტებს იმ რაოდენობამდე, რაც აუცილებელია და შეესაბამება მათ საკანონმდებლო მოთხოვნებს და შესაბამისად ამით მაქსიმალურად, შესაძლო დონემდე ამარტივებენ შესაბამისი პროცედურებს. იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის ფორმალობათა ტვირთისა და სირთულის მინიმუმამდე დაყვანის, ასევე იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტისთვის საჭირო დოკუმენტების მიმართ მოთხოვნათა

შემცირებისა და გამარტივების მიზნით, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ასეთი ფორმალობები და დოკუმენტაციის მიმართ მოთხოვნები:

(a) გამოიყენებოდეს საქონლის სწრაფად გაშვებისა და გაფორმების მიზნით;

(b) გამოიყენებოდეს ისეთი წესით, რომელიც მიზნად ისახავს კანონმდებლობასთან შესაბამისობისთვის გაწეული ხარჯებისა და დროის შემცირებას; და

(c) იყოს ვაჭრობის ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიება,

3. იმპორტიორი მხარე არ ითხოვს ექსპორტის დეკლარაციის დედანს ან ასლს იმპორტიორისგან.

4. მხარეები, სავაჭრო პროცესის დროს ხარჯებისა და არააუცილებელი შეფერხებების შემცირების მიზნით, იყენებენ ვაჭრობის ეფექტურ პროცედურებს, რომლებიც, საჭიროების მიხედვით, ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ კი „ვაჭრობის გაუმჯობესებისა და ელექტრონული ბიზნესის გაეროს ცენტრის“ (UN/CEFACT), „სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“(ISO), „მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის“(შემდგომში WCO) სტანდარტებს, სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებს, მათ შორის „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის განახლებული საერთაშორისო კონვენციის“, (კიოტოს განახლებული კონვენცია), „სასურსათო კომისიის კოდექსის“, „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის“ და „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციის“ ფარგლებში მოქმედი შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების პრინციპებს.

5. თითოეული მხარე მიიღებს ან გამოიყენებს ისეთ პროცედურებს, რომლებიც:

(a) საქონლის ფიზიკურად ჩამოსვლამდე, მისი გაფორმების დაჩქარების მიზნით, უზრუნველყოფენ წინასწარ ელექტრონულ აღრიცხვასა და ინფორმაციის დამუშავებას;

(b) ამ მხარის იმპორტის მიმართ არსებული მოთხოვნების სრულად შესრულებამდე, იმპორტიორებს მისცემენ შესაძლებლობას მიიღონ საქონლის გაშვების უფლება იმ შემთხვევაში, თუ იგი უზრუნველყოფს სათანადო გარანტიას და თუ გადაწყდება, რომ არანაირი დამატებითი შემოწმება, ფიზიკური დათვალიერება ან რაიმე სხვა დოკუმენტის წარმოდგენა (მაგ: ნებართვები, ლიცენზიები და სხვა მსგავსი დოკუმენტები) აღარ მოითხოვება;

(c) უზრუნველყოფენ საბაჟოსა და სხვა სასაზღვრო ორგანოების მიერ ტარიფების, გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ელექტრონული გადახდის შესაძლებლობას; და

(d) უზრუნველყოფენ იმპორტისათვის განკუთვნილი საქონლის მხარის ტერიტორიაზე გადაადგილების შესაძლებლობას საბაჟო კონტროლის ქვეშ, საბაჟო მიმღები პუნქტიდან სხვა საბაჟო პუნქტამდე, საიდანაც შემდგომში ხდება საქონლის გაშვება ან გაფორმება.

6. მალფუჭებადი ტვირთის[2] გაფუჭების თავიდან აცილების მიზნით,თითოეული მხარე:

(a) უზრუნველყოფს მალფუჭებადი საქონლის სწრაფ გაშვებას;

(b) მალფუჭებადი საქონლის გაშვების შეფერხების შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოფს შეფერხების გამომწვევი მიზეზების განმარტებას;

(c) შესაძლო შემოწმებების განრიგის შედგენისას, მალფუჭებად საქონელს ანიჭებს შესაბამის პრიორიტეტულობას; და

(d) გაშვების მოლოდინში არსებული მალფუჭებადი საქონლისთვის აწყობს საწყობს ან ანიჭებს იმპორტიორს შესაფერისი საწყობის მოწყობის უფლებას. თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ იმპორტიორის მიერ მოწყობილი სასაწყობო ობიექტი იყოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწონებული ან განსაზღვრული.

მუხლი 5

კომპეტენტური საბაჟო სამსახურები

1. თითოეული მხარე განსაზღვრავს საბაჟო ორგანოებ, სადაც შეიძლება მოხდეს საქონლის წარმოდგენა ან გაფორმება. აღნიშნული სამსახურების კომპეტენტურობის, ადგილმდებარეობისა და სამუშაო საათების განსაზღვრისას გასათვალისწინებელი იქნება ვაჭრობის მიმართ არსებულ მოთხოვნები.

---

[2] ამ დებულების მიზნებისთვის, მალფუჭებადი საქონელი არის საქონელი, რომელიც თავისი ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე სწრაფად ფუჭდება, კერძოდ, შესაბამისი სასაწყობო პირობების არარსებობისას.

2. თითოეული მხარე, რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ახორციელებს საბაჟო კონტროლსა და პროცედურებს, საბაჟო ორგანოების ტერიტორიის მიღმა და საბაჟო სამსახურის არასამუშაო საათებში, თუკი ამას ითხოვს თრეიდერი საფუძვლიანი მიზეზების გამო.

მუხლი 6

რისკების მართვა

1. თითოეული მხარე, რისკების მართვის საფუძველზე, განსაზღვრავს თუ რომელი პირი, საქონელი, თუ ტრანსპორტის რომელი საშუალება საჭიროებს შემოწმებას და იმას, თუ რა დონეზე უნდა ჩატარდეს შემოწმება.

2. მხარეთა საბაჟო ტერიტორიებს შორის გადაადგილებადი საქონლის შემოტანასთან, გატანასთან, ტრანზიტთან, გადატანასთან ან საბოლოო გამოყენებასთან, ან თავისუფალი მიმოქცევის გარეშე საქონლის არსებობასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენისა და აღმოფხვრისას, მხარეებმა სისტემატიურად იყენებენ რისკების მართვის ობიექტურ პროცედურებსა და პრაქტიკას.

3. თითოეული მხარის სასაზღვრო პროცედურები და საბაჟო კონტროლი, მათ შორის დოკუმენტების, ფიზიკური შემოწმება ან გაშვების შემდგომი შემოწმება, არ უნდა იყოს საჭიროზე მეტად მკაცრი იმისათვის, რათა მოხდეს მე-2 პუნქტში მითითებული რისკების მიმართ მათი დაქვემდებარების შეზღუდვა.

მუხლი 7

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემა

მხარე, რომელსაც ამოქმედებული აქვს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემა ან ახორციელებს საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვაზე გავლენის მქონე უსაფრთხოების ზომეს, ვალდებულია:

(a) მეორე მხარეს მიანიჭოს ავტორიზაციასა და უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით ორმხრივი აღიარების ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების უფლება ეფექტური საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის ხარჯზე საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით; და

(b) დაიცვას შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, კერძოდ „მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ჩარჩო-სტანდარტები“ მსოფლიო ვაჭრობის უზრუნველყოფის და ხელშეწყობის სტანდარტები ((SAFE Framework).

მუხლი 8

საბაჟო ბროკერი

თითოეული მხარის საბაჟო სისტემა და პროცედურები ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს უნდა აძლევდეს საკუთარი საბაჟო დეკლარაციების ჩაბარების საშუალებას საბაჟო ბროკერებისთვის მიმართვის საჭიროების გარეშე.

მუხლი 9

მოსაკრებლები და საფასურები

1. იმპორტთან ან ექსპორტთან, მათ შორის მესამე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით დაწესებული ნებისმიერი სახის მოსაკრებელი და საფასურები, გარდა იმპორტის ტარიფებისა და „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების (GATT) მე-3 მუხლის ფარგლებში გათვალისწინებული გადასახადებისა, თანხობრივად უნდა შემოიფარგლებოდეს გაწეული მომსახურების მიახლოებითი საფასურით და არ უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი საქონლის ირიბი დაცვის, ან იმპორტისა და ექსპორტის ფისკალური მიზნებისთვის დაბეგვრის საშუალებას .

2. პირველ პუნქტში მითითებული მოსაკრებლები და საფასურები არ უნდა დაანგარიშდეს *ადვალორულ* პრინციპზე დაყრდნობით.

3. თითოეული მხარე ოფიციალურად აქვეყნებს ინფორმაციას მოსაკრებლებისა და საფასურების შესახებ ინტერნეტის მეშვეობით ინგლისურ ენაზე იმდენად, რამდენადაც ეს პრაქტიკულად არის შესაძლებელი. ასეთი ტიპის ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მოსაკრებლებისა და საფასურების საფუძველს, ანუ ინფორმაციას გაწეულ მომსახურებაზე, პასუხისმგებელ ორგანოზე, დასაკისრებელ მოსაკრებლებსა თუ საფასურებზე და იმაზე თუ როგორ ხდება მათი გაანგარიშება და როდის და რა სახით უნდა განხორციელდეს გადახდა.

4. მოთხოვნის საფუძველზე, მხარის საბაჟო უწყებებმა ან მხარის ნებისმიერმა სხვა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის

მიწოდება ამ მხარის საქონლის იმპორტზე დაწესებული მოსაკრებლებისა და საფასურების და მათ შორის მათი გამოთვლის მეთოდის შესახებ.

მუხლი 10

საჯარიმო სანქციები

1. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ საბაჟო კანონების, რეგულაციების ან პროცედურული მოთხოვნების დარღვევისთვის სანქციები დაუწესდეთ მხოლოდ იმ პირებს,რომლებიც სამართლებრივად პასუხს აგებენ ასეთ დარღვევაზე.

2. დაკისრებული სანქცია დამოკიდებული უნდა იყოს კონკრეტული შემთხვევის ფაქტებსა და გარემოებებზე, იგი უნდა ეფუძნებოდეს პასუხისმგებელი პირის ბრალეულობას და შეესაბამებოდეს დარღვევის ხარისხსა და სიმწვავეს.

3. სანქცია ისეთი მცირედი დარღვევებისთვის, როგორიცაა უყურადღებობით გამოწვეული უმოქმედობა, ან დაუდევრობით დაშვებული შეცდომები, მათ შორის საბაჟო კანონის ან რეგულაციის არასწორი ინტერპრეტაცია, რომლებიც ჩადენილია თაღლითური განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე, არ უნდა იყოს იმაზე მძიმე, ვიდრე ეს საჭიროა მსგავსი შეცდომის განმეორების თავიდან ასაცილებლად. სანქციების დაკისრება არ ხდება აშკარა ფორმალური შეცდომების დროს.

4. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ საბაჟო კანონის, რეგულაციების ან პროცედურული მოთხოვნების დარღვევისთვის სანქციის დაკისრებისას, წერილობითი განმარტება მიეწოდოს იმ პირებს,რომელთა მიმართაც მოხდა სანქციის დაკისრება, სადაც უნდა განისაზღვროს დარღვევის ხასიათი, სანქციის საფუძველი და მითითებები გასაჩივრების უფლების შესახებ.

5. საბაჟო კანონების, რეგულაციების ან პროცედურული მოთხოვნების დარღვევის ნებაყოფლობითი გამხელა კომპეტენტური ორგანოსთვის მანამ, სანამ ორგანო თავად აღმოაჩენს ამ დარღვევას, თითოეული მხარის მიერ მიიჩნევა შემამსუბუქებელ ფაქტორად .

6. თითოეული მხარე, თავის ადგილობრივ კანონმდებლობაში განსაზღვრავს შეზღუდულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მხარე დაიწყებს მოკვლევის პროცედურებს საბაჟო კანონების, რეგულაციებისა თუ პროცედურული მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით.

7. ჯარიმების დაკისრებისას და მათი მოკრებისას, თითოეულმა მხარემ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, უნდა გამოიყენოს

შესაბამისი პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ყველა პირობას იმისათვის, რომ სახელმწიფო მოხელეებმა არ მიიღონ პირადი სარგებელი სანქციით დაკისრებული ნებისმიერი ჯარიმიდან ან დაკისრებული ან მოკრებილი გადასახადებიდან.

მუხლი 11

დოკუმენტების ლეგალიზაცია

მხარე არ ითხოვს ლეგალიზაციას ან ავთენტურობის სხვა სახით დადასტურებას, კერძოდ კომერციული ანგარიშ-ფაქტურების, წარმოშობის სერტიფიკატების ან სხვა საბაჟო დოკუმენტაციის, მათ შორის მეორე მხარის ნებისმიერი საქონლის იმპორტირებასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისა და საფასურების ლეგალიზაციას.

მუხლი 12

საქონლის დროებით შემოტანა

1. თითოეული მხარე უშვებს საქონლის დროებით შემოტანას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის, „დროებითი შემოტანა“ გულისხმობს საბაჟო პროცედურებს, რომელთა ფარგლებშიც საბაჟოს ტერიტორიაზე შესაძლებელია გარკვეული საქონლის შეტანა, რომელიც პირობითად განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადების გადახდის ვალდებულებისგან. მსგავსი საქონლის შემოტანა უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული მიზნებისთვის და განკუთვნილია ქვეყნის ტერიტორიიდან გატანისთვის, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ საქონელმა ცვლილება არ განიცადა იმ ნორმირებული ცვეთის გაუთვალისწინებლად, რომელიც საქონელმა შეიძლება მიიღოს მისი გამოყენების შედეგად.

მუხლი 13

საქონლის შიდა და გარე გადამუშავება

1. თითოეული მხარე უშვებს დროებით იმპორტსა და ექსპორტს საქონლის შიდა და გარე გადამუშავების მიზნით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის:

(a) „შიდა გადამუშავება“ გულისხმობს საბაჟო პროცედურებს, რომელთა ფარგლებშიც საბაჟოს ტერიტორიაზე შესაძლებელია გარკვეული საქონლის შეტანა, რომელიც პირობითად განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადების გადახდის ვალდებულებისგან. მსგავსი საქონელი განკუთვნილი უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიიდან გატანისთვის, დადგენილი პერიოდის განმავლობაში მას შემდეგ, რაც იგი გაივლის დამუშავებას, გადამუშავებას ან შეკეთების პროცესს; და

(b) „გარე გადამუშავება“ გულისხმობს საბაჟო პროცედურებს, რომლის ფარგლებშიც გარკვეული საქონელი, რომელიც საბაჟოს ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაშია, შესაძლოა იყოს დროებით გატანილი საზღვარგარეთ დამუშავების, გადამუშავებისა თუ შეკეთებისთვის ხოლო შემდეგ შემოტანილი საბაჟო ტერიტორიაზე, საბაჟო გადასახადების გადახდის ვალდებულებისგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლებით..

მუხლი 14

საზღვრის სააგენტოებს შორის თანამშრომლობა

სასაზღვრო და ასევე იმპორტისა და ექსპორტის კონტროლის პროცესში ჩართულმა ორგანოებმა და სააგენტოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და კოორდინირება გაუწიონ თავიანთ პროცედურებს ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 15

გასაჩივრება

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ პირს, რომლის მიმართაც საბაჟო ან სხვა სასაზღვრო უწყება გამოსცემს ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას, ჰქონდეს სულ მცირე:

(a) ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ერთჯერადი დამოუკიდებელი გასაჩივრების უფლება, თუ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება არ არის მიღებული უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ; და

(b) ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ერთჯერადი დამოუკიდებელი სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

მუხლი 16

კონფიდენციალურობა

საქონლის იმპორტირებასთან, ექსპორტირებასთან, წინასწარ გადაწყვეტილებებთან ან ტრანზიტთან დაკავშირებით მიღებული ყველა ინფორმაცია მხარეების მიერ მიიჩნევა კონფიდენციალურად და გაითვალისწინება პროფესიული საიდუმლოების ვალდებულებაში, თითოეული მხარის სათანადო კანონების შესაბამისად. მსგავსი ინფორმაცია, მისი მომწოდებელი პირისა თუ ორგანოს ცალსახა ნებართვის გარეშე, არ უნდა გასაჯაროვდეს მხარის ორგანოების მიერ.

მუხლი 17

სამომავლო თანამშრომლობა

1. მხარეებმა შეიძლება მოახდინონ იდენტიფიკაცია და „ერთობლივ კომიტეტს“ განსახილველად წარუდგინონ დამატებითი ღონისძიებები, ერთმანეთთან ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით.

2. მხარეებმა მხარი უნდა დაუჭირონ საერთაშორისო თანამშრომლობას ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხზე გამართულ შესაბამის მრავალმხრივი *საერთაშორისო ფორუმების* ფარგლებში. მხარეები განიხილავენ შესაბამის საერთაშორისო ინიციატივებს იმისათვის, რომ მოახდინონ იდენტიფიცირება და შემდგომში „ერთობლივ კომიტეტს“ განსახილველად წარუდგინონ ის დამატებითი სფეროები, რომლებშიც მხარეების ერთობლივი მოღვაწეობა ხელს შეუწობს მათი საერთო მიზნების მიღწევას .

_____